

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „უნივერსიტეტი“) გამომცემლობის (შემდგომში - გამომცემლობა) ფუნქციებსა და საქმიანობის წესს.
2. გამომცემლობა საქმიანობას წარმართავს საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და სხვა აქტებით.
3. გამომცემლობა კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 2. გამომცემლობის სტრუქტურა და ფუნქციები

1. გამომცემლობა წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომლის შემადგენლობაში შედის ქვესტრუქტურული ერთეული - სტამბა.
2. გამომცემლობის ფუნქციებია:
 - ა) უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმიანობის წარმართვა და კოორდინაცია;
 - ბ) უნივერსიტეტში ხარისხიანი სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების წარმართვის ხელშეწყობა;
 - გ) გამომცემლობის პროდუქციისათვის (ნაშრომის, წიგნის და სხვა) საერთაშორისო ნომრისა და საგამომცემლო მარკის მინიჭების მიზნით საჭირო ქმედების განხორციელება;
 - დ) უნივერსიტეტის გამომცემლობაში მომზადებული ლიტერატურისა და სხვა სახის მასალის უნივერსიტეტის სტამბაში დაბეჭდვა;
 - ე) საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.
3. გამომცემლობა უფლებამოსილია გამოსცეს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ლიტერატურა, კერძოდ:

- ა) აკადემიური და სამეცნიერო წიგნები: სამეცნიერო ლიტერატურა (მათ შორის ნათარგმნი), ლექსიკონები, ცნობარები, დარგობრივი ლიტერატურა;
- ბ) პერიოდული გამოცემები: სტუდენტური და დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციების მასალები და თეზისები;
- გ) ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები: ყველა სახის ელექტრონული გამოცემები - პერიოდული, დარგობრივი, გასართობი, შემეცნებითი;
- დ) საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე - კომერციული გამოცემები: თანამედროვე ლიტერატურა, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, ქართული კლასიკური ტექსტები, ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა და სხვა.

მუხლი 3. გამომცემლობის პერსონალი

1. გამომცემლობის პერსონალს შეადგენს გამომცემლობის დირექტორი, რედაქტორი, ტექნიკური რედაქტორი, სტამბის უფროსი და სპეციალისტები.
2. გამომცემლობის პერსონალს ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მათ შორის გამომცემლობის დირექტორს - რექტორთან შეთანხმებით.
3. **გამომცემლობის დირექტორი:**
 - ა) ხელმძღვანელობს გამომცემლობის მიერ საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის აქტებითა და ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას;
 - ბ) პასუხისმგებელია გამომცემლობის საქმიანობის სწორად წარმართვაზე, ვალდებულია რაციონალურად გაანაწილოს შესასრულებელი სამუშაო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაოთა აღწერილობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად და გააკონტროლოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი;
 - გ) გამომცემლობის კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს წინადადებებს და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და რექტორს;
 - დ) მოქმედებს გამომცემლობის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობებში, განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

- ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვიზით ადასტურებს ან ითანხმებს გამომცემლობის ან უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტებისა და კორესპონდენციის პროექტებს;
- ვ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია გამომცემლობის ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;
- ზ) პერიოდულად ისმენს გამომცემლობის (სტამბის) პერსონალის ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
- თ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს გამომცემლობის სტრუქტურის, საშტატო ერთეულების, ფუნქციების, პერსონალის მიმართ წახალისების ან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე;
- ი) წარადგენს საქმიანობის ანგარიშს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;
- კ) ასრულებს საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს მდივნის ფუნქციას და კოორდინირებას უწევს საბჭოს საქმისწარმოებას.
- ლ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს, გამომცემლობის კომპეტენციის ფარგლებში.
4. გამომცემლობის პერსონალის (უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული) სამუშაოთა აღწერილობა განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით და ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად.
5. ამ მუხლით გათვალისწინებული საშტატო ერთეულების დასახელების ან მათი რაოდენობის ცვლილება არ გამოიწვევს ამ დებულებაში ცვლილების შეტანას.

მუხლი 4. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.